# დროებითი დებულება აფხაზეთის ავტონომიური მმართველობისა.

1.

აფხაზეთი - მდინარე ენგურიდან და შავი ზღვის ნაპირებიდან რუსეთის საზღვრებამდე, - საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და ამ საზღვრებში ავტონომიურად უძღვება თავის შინაურ საქმეებს.

2.

ავტონომიურ აფხაზეთს აქვს თავის ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო-სახალხო საბჭო, არჩეული ორი წლით, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ.

3.

აფხაზეთის ავტონომიურ მმართველობას ექვემდებარება:

ა. ადგილობრივი ფინანსები- ბიუჯეტი, კასა, გადასახადი, სესხი.

ბ. სახალხო განათლება- პირველდაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სწავლის საქმე, საზოგადოდ მთელი კულტურული შემოქმედება.

გ. ადგილობრივი საერობო და საქალაქო თვითმმართველობა.

დ. სამომრიგებლო სამოსამართლო დაწესებულება.

ე. შინაგანი და საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფა და წესიერების დაცვა.

ვ. ადმინისტრაცია.

ზ. სახალხო ჯანმრთელობა, მედიცინა და ვეტერინარია.

ჱ. მიმოსვლის საქმე- გზები ადგილობრივი მნიშვნელობისა.

თ. ბიუჯეტის დამტკიცება, ადგილობრივი თანხების გასავლის ანგარიშის განხილვა და კონტროლი.

ი. ავტონომიის საჭიროებისათვის კერძო პირთა უძრავი ქონების ჩამორთმევა რესპუბლიკის საზოგადო კანონების ძალით.

კ. ყოველი საქმე, რომელიც რესპუბლიკის კანონით აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაეცემა.

4.

გარდა იმ საქმეთა, რომელნიც აღნიშნული არიან წინა /3/ მუხლში, აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა დამოუკიდებლად საზღვრავს დასაწესებელ მიწის ნორმას იმ პირობით, რომ იგი არ აღემატებოდეს რესპუბლიკის საერ

რარი კანონით აღიარებულ მაქსიმალურ რაოდენობას.

იგი საზღვრავს აგრეთვე სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის ხალხის-თვის გადაცემის ფორმებს.

5.

ავტონომიური აფხაზეთის მმართველობის სრულ განკარგულებაში გადადის ადგილობრივი [illegible] მნიშვნელობის მიწები, კულტურული მამულები და ტყეები, აგრეთვე სამკურნალო წყლები იმათ გარდა, რომელნიც ზოგად სახელ-მწიფო მიწებზე იმყოფებიან.

ყველა მიწა და ტყე ზოგად სახელმწიფო მნიშვნელობისა და გაგრის კლი-მატიური სადგური რჩება სახელმწიფოს საკუთრებად.

აგრეთვე სახელმწიფოს სრულ განკარგულებაშია მიწის წიაღი. ჰიდროელექ-ტრიული სადგურთა გამართვის და წყლის ენერგიის გამოყენების წესებს გან-საზღვრავს კანონი.

6.

სახელმწიფო ენა აფხაზეთში არის ქართული ენა. მაგრამ სახალხო საბ-ჭოს არჩევით სკოლებში სახმარებლად, ავტონომიურ დაწესებულებებში სალა-პარაკოდ და საქმის საწარმოებლად შეიძლება შემოღებულ იქნეს ერთ-ერთი სხვა ენა.

7.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქის უფლება-მოვალეობათ და მოქალაქეობ-რივ თავისუფლებას უზრუნველჰყოფენ რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები

8.

საავტონომიო დაწესებულებებში თანამდებობის პირთა დანიშვნის, გადაყვა-ნის, გადაყენების და დათხოვნის უფლება ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო სა-ბჭოს და კომისარიატს.

საერთო სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი აფხაზეთში ინიშნე-ბიან შეძლებისდაგვარად ადგილობრივ მკვიდრთაგან.

9.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის აფხაზეთი შეა-დგენს ცალკე საარჩევნო ოლქს. იგი ამ ორგანოში წარმოდგენილ უნდა იქნეს პროპორციულად, თანახმად რესპუბლიკის საერთო საარჩევნო კანონისა.

IO.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრნი, მისი ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენელნი, აგრეთვე ავტონომიური აფხაზეთის დაწესებულებათა მო-

რარო კანონით აღიარებულ მაქსიმალურ რაოდენობას.

იგი საზღვრავს აგრეთვე სახელმწიფო საავტონომიო ფონდის სახსრისთვის გადაცემის ფორმებს.

5.

ავტონომიური აფხაზეთის მმართველობის სრულ განკარგულებაში გადადის ადგილობრივი [illegible] მნიშვნელობის მიწები, კულტურული მამულები და ტყეები, აგრეთვე სამკურნალო წყლები იმათ გარდა, რომელნიც ზოგად სახელმწიფო მიწებზე იმყოფებიან.

ყველა მიწა და ტყე ზოგად სახელმწიფო მნიშვნელობისა და გაგრის კლიმატური სადგური რჩება სახელმწიფოს საკუთრებად.

აგრეთვე სახელმწიფოს სრულ განკარგულებაშია მიწის წიაღი. ჰიდროელექტრული სადგურთა გამართვის და წყლის ენერგიის გამოყენების წესებს განსაზღვრავს კანონი.

6.

სახელმწიფო ენა აფხაზეთში არის ქართული ენა. მაგრამ სახალხო საბჭოს არჩევით შკოლებში სახმარებლად, ავტონომიურ დაწესებულებებში სალაპარაკოდ და საქმის საწარმოებლად შეიძლება შემოღებულ იქნეს ერთ-ერთი სხვა ენა.

7.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქის უფლება-მოვალეობათ და მოქალაქეობრივ თავისუფლების უზრუნველმყოფელ რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები

8.

საავტონომიო დაწესებულებებში თანამდებობის პირთა დანიშვნის, გადაყვანის, გადაყენების და დათხოვნის უფლება ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს და კომისარიატს.

საერთო სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი აფხაზეთში ინიშნებიან შეძლებისდაგვარად ადგილობრივ მკვიდრთაგან.

9.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის აფხაზეთი შეადგენს ცალკე საარჩევნო ოლქს. იგი ამ ორგანოში წარმოდგენილ უნდა იქნეს პროპორციულად, თანახმად რესპუბლიკის საერთო საარჩევნო კანონისა.

10.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრნი, მისი ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენელნი, აგრეთვე ავტონომიური აფხაზეთის დაწესებულებათა მო-

სარიაგი, რომლის წევრებს აირჩევს სახალხო საბჭო.

20.

კომისარიატის წევრები სახალხო საბჭოს ანგარიშს აძლევენ თავის მოქმედებისათვის და პასუხს აგებენ მის წინაშე.

21.

სახალხო საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს აქვეყნებს საქართველოს რესპუბლიკის სენატი.

22.

ბიუჯეტის შესავლებით აფხაზეთის ავტონომიურ მმართველობას ეძლევა აფხაზეთის ტერიტორიაზე აკრეფილ ზოგად სახელმწიფო გადასახადთა განსაზღვრული ნაწილი. მას ეძლევა აგრეთვე ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე რესპუბლიკის მიერ გაცემულ სახელმწიფო კონცესიების შემოსავლისა.

23.

აფხაზეთის ავტონომიური დებულების საზოგადო თუ ნაწილობრივი გადაშინჯვის ინიციატივის უფლება ეკუთვნის როგორც საქართველოს პარლამენტს ისე აფხაზეთის სახალხო საბჭოს. თვით დებულების გადაშინჯვის და მისი დამტკიცების უფლებას კი ანხორციელებს საქართველოს პარლამენტი კანონით განსაზღვრულ წესისამებრ.

www.abkhazianarchive.ge www.abkhazianarchive.ge